ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1956991

ნომერი: AR1316909

თარიღი : 09.06.2015

გაცემის თარიღი : 16.06.2015

გაცნობის თარიღი : 16.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიმოზა ჩაჩავა პ/ნ 01015021740
- თბილისი პურის მოედ. ქ. N 1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1316909 განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქალაქ თბილისში, ქუჩა პურის მოედანი N 1; N 2; (საკ. კოდი 01.18.03.053.008) მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2011 წლის 11 მაისს შპს ალიანს-ჯი-ს სასარგებლოდ არქიტექტურის

სამსახურის მიერ გაცემულია მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში, პურის მოედანი #1 და #2-ში (სანებართვო მოწმობა #ნ/1056-1) მდებარე მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ნებართვის მოქმედების ვადა გაგრძელებულია არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 21 აგვისტოს #313642 ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 05 მარტის #4/25 ბრძანებითა და 2015 წლის 05 მარტის #4/56 ბრძანებით და ძალაშია 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2015 წლის 24 აპრილს # AR1303320 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ავთანდილ ნაცვლიშვილმა და მოითხოვა შეტანილ იქნეს ცვლილებები ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის
მიერ 2011 წლის 11 მაისს #01/985 ბრძანებით დამტკიცებულ რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროექტში თანდართული კორექტირებული პროექტების შესაბამისად. ატვირთული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, შესაბამისად სამსახურის მიერ 2012-2015 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge